# ხელშეკრულება №27

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 21 სექტემბერი 2017წ.

ერთის მხრივ, სსიპ - თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნუკრი კობახიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ტელექსი“ , (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ჭუმბურიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ნაბეჭდი წიგნები (CPV:22110000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1.ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 143.40(ასორმოცდასამი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

4.1. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი,ჩხარი).

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

5.1.მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს მოქმედი კანონის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრრული საგნის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

**მუხლი 6. პირგასამტეხლო**

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.

**მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
7.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 8. გადასახადები და დაბეგვრა**

8.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

**მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

## 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავები გადაწყვეტილ უნდა იქნეს ურთიერთმოლაპარაკების გზით.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11. სხვა პირობები

11.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

*112. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე* ორ ეგზემპლარად და გადაეცა მხარეებს.

## 12.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| *დამკვეთი სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის # 2 საჯარო სკოლა* | მიმწოდებელი: შპს ტელექს |
| *მის:* საქართველო, თერჯოლა, თერჯოლა, ჭანტურიას ქ, შენობა: 0 | მის:თბილისი, ც.დადიანის № 7 |
| *ს/კ* 232004648 | ს/კ: 404974863 |
| | ტელ: 2159191 |
| | საქართველოს ბანკი |
| | ა/ა **GE49BG0000000297157100** |
| *დირექტორი:* | დირექტორის მოადგილე : |
| **ნუკრი კობახიძე** | **მაია ჭუმბურიძე** |
| --------------------- | --------------------- |

## მიღება ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 21.09.2017

ჩვენ,ქვემოთ ხელისმომწერნი,ერთის მხრივ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის # 2 საჯარო სკოლა (შემდგომში-შემსყიდველი) მისი დირექტორის **ნუკრი კობახიძის** სახით და მეორეს მხრივ შპს „ტელექსი" (შემდგომში-მიმწოდებელი),მისი დირექტორის მოადგილის მაია ჭუმბურიძის სახით ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ,რომ სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის # 2 საჯარო სკოლამ ჩაიბარა ,ხოლო „შპს ტელექსმა'" გადასცა 2017 წლის 20 სექტემბერს დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 143.40 ლარის წიგნები.

ჩაიბარა

ნუკრი კობახიძე

ჩააბარა:

მაია ჭუმბურიძე

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0331368619 |
|---|---|---|

| 2 | 21/09/2017 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 00:00:00 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ტელექს | 404974863 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხარის # 2 საჯარო სკოლა | 232004648 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | ქუთაისი 9 აპრილის ქ # 2 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | საქართველო, თერჯოლა, თერჯოლა, თერჯოლის რესურსცენტრი, შენობა: 0 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | საავტომობილო | 10 | GG622CC | X |
|---|---|---|---|---|
| | ტრანსპორტირების სახე | | სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი | მისაბმელი |

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | 60001033445 ირაკლი ბუაძე |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ენციკლოპედია ყველაფრის შესახებ | 9789941418921 | ცალი | 1.0000 | 21.9000 | 21.9000 |
| 2 | ენა მამული სარწმუნოება(3 ტომად) | 000003313 | კომპლექტი | 1.0000 | 42.0000 | 42.0000 |
| 3 | მე ვსაუბრობ ინგლისურად | 9789941466335 | ცალი | 1.0000 | 21.9000 | 21.9000 |
| 4 | მოლაპარაკე დედა ენა | 9789941428296 | ცალი | 1.0000 | 35.0000 | 35.0000 |
| 5 | აქცია ვეფხისტყაოსანი პროზაული ვერსია+გრაფიკული ნოველა | 000003253 | კომპლექტი | 1.0000 | 22.6000 | 22.6000 |

| 13 | 143.4 - ას ორმოცდასამი ლარი და ორმოცი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 22/09/2017 | 18:53:25 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 09/11/2017, 12:01:05